ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1985968

ნომერი: AR1318257

თარიღი : 12.06.2015

გაცემის თარიღი : 01.07.2015

გაცნობის თარიღი : 01.07.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქ.N15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ქეთიშვილი პ/ნ 01022004470
- კასპი ს. რგვალი ჭალა

ორგანიზაცია:

- სურსათი 34 კოდი: 212274554

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ №1946259 (10.06.2015) გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას, კოეფიციენტის ცვლილების მიზნით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული არ საჭიროებს ცვლილების განხორციელებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დამოწმებული ასლი შეგიძლიათ თან დაურთოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და მოთხოვნა პირდაპირ დააყენოთ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საკითხი ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქუჩა N15-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ განიხილა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 18 ივნისის #26 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0,8-ით და კ2=1,6-ით (აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება მომზადებისთანავე მოგეწოდებათ დამატებითი შეტყობინებით)..

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge